საქართველოს პარლამენტი

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისათვის საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი

2021

შინაარსი

1. შესავალი 3

2. საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის 5

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მდგომარეობა 18

ამოცანა 1: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. 18

ამოცანა 2: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. 22

ამოცანა 3: საქართველოს პარლამენტი ეფექტიან ზედამხედველობას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საქართველოს მთავრობის მიერ 23

ამოცანა 4: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. 26

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება 27

1. შესავალი

2015 წლის 25 სექტემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია[1] „ჩვენი მსოფლიოს ცვლილება: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ და დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობდნენ გაეროს წევრ ქვეყანათა მთავრობების, საკანონმდებლო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს პარლამენტმა პირველი ნაბიჯები მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში ჯერ კიდევ 2016 წელს გადადგა, როცა მხარი დაუჭირა და შეუერთდა „ღია მმართველობის თანამშრომლობის დეკლარაციას 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების შესახებ“[2]; 2018 წელს კი მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისა და მონიტორინგის ვალდებულება აიღო, რაც ღია პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში აისახა.[3] ამ გეგმის თანახმად 2019 წლის ივნისში შემუშავდა საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისთვის და საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის.[4]

სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოს პარლამენტის ეფექტიანი საზედამხედველო და კანონშემოქმედებითი მექანიზმების გამოყენებით, ხელი შეეწყოს ქვეყანაში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესს. სტრატეგია ეფუძნება პრინციპს „კეთილდღეობა ყველასთვის“ და ასახავს პარლამენტის ხედვას საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ის ეყრდნობა პარლამენტის თვითშეფასების შედეგებს, რომელიც 2018 წლის ივნისში განხორციელდა და რომელმაც გამოავლინა პარლამენტის შესაძლებლობები და საჭიროებები მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კუთხით.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად საქართველოს პარლამენტმა ოთხი სტრატეგიული მიმართულება - კანონშემოქმედება, საბიუჯეტო პროცესი, ზედამხედველობა და მოქალაქეთა ჩართულობა - დაადგინა და ოთხი ამოცანა გაწერა. ესენია:

ამოცანა 1: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

ამოცანა 2: საბიუჯეტო პროცესი ასახავს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საჭიროებებს.

ამოცანა 3: საქართველოს პარლამენტი ეფექტიან ზედამხედველობას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საქართველოს მთავრობის მიერ.

---

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია „ჩვენი მსოფლიოს ცვლილება: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ იხ.: https://bit.ly/32wbvoO

[2] დამატებით ინფორმაცია იხ.: https://bit.ly/2VwN8Wm

[3] ღია პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა იხ.: https://bit.ly/2ThtR8S

[4] საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის და საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის იხ.: https://bit.ly/2Pr2p7B

ამოცანა 4: მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესი ღია და ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისათვის.

სტრატეგიის მიზანია, საქართველოს პარლამენტის ეფექტიანი საზედამხედველო და კანონშემოქმედებითი მექანიზმების გამოყენებით, ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებასა და მონიტორინგს.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნისა და ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის აპარატისა და ყველა კომიტეტის მონაწილეობით, ასევე სხვადასხვა მხარის ჩართულობითა და მათთან თანამშრომლობით. ესენია: აღმასრულებელი ხელისუფლება, დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტები (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური), სამოქალაქო საზოგადოება, აკადემიური წრეები და კერძო სექტორი.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისათვის საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ასახავს 2019 წლის ივნისიდან 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შესრულებულ აქტივობებს. აღსანიშნავია, რომ გეგმით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება 2020 წლის განმავლობაში პანდემიად გამოცხადებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო მეტწილად გადაიდო/შეფერხდა.

2. საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის

ამოცანა 1: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას

ამოცანის ინდიკატორი								
1) 2030 წლისთვის საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტები სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან და ხელს უწყობს მათ განხორციელებას საქართველოში: *2020 წლისთვის განსაზღვრულია ყველა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი და საჭიროებს ცვლილებებს მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;* *2020 წლისთვის პარლამენტს დამტკიცებული აქვს სათანადო ცვლილებები სულ მცირე 2 პოლიტიკის დოკუმენტში;* *2) 2030 წლისთვის საქართველოს საკანონმდებლო აქტები სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან და ხელს უწყობს მათ განხორციელებას საქართველოში;* *3) 2020 წლისთვის საქართველოს პარლამენტში შექმნილია საკოორდინაციო მექანიზმები მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული კანონმდებლობის შესაქმნელად;* *4) 2030 წლისთვის საქართველოს პარლამენტის წევრებს და თანამშრომლებს აქვთ სათანადო ცოდნა, ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას;* *2020 წლისთვის თემატურ მომხსენებლებს და აპარატის შესაბამის თანამშრომლებს აქვთ სათანადო ცოდნა, განახორციელონ დაკისრებული ვალდებულებები.*								
ქმედება	**ქმედების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**სხვა მონაწილე მხარეები/პარტ-ნიორები**	**დასრულების საბოლოო ვადა**	**ბიუჯეტი**		**მონაცემთა წყარო**	**სტატუსი**
					საჭირო დამატებითი ბიუჯეტი	**დამატებითი დაფინანსების წყაროები**		
1.1. კომიტეტის გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით თითოეული კომიტეტისთვის შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნ(ებ)ის განსაზღვრა და დამტკიცება	მომზადებულია და შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებულია რეკომენდაციები კომიტეტების სამოქმედო გეგმებში ასახულია შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნები/ამოცანები	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, კომიტეტები		I კვარტალი, 2020 წ.			რეკომენდაციები მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით, კომიტეტების პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტების პასუხისმგებლობის სფეროს მიკუთვნებულ	შესრულდა

							მდგრადი განვითარების მიზნებს, კომიტეტების სამოქმედო გეგმები	
1.2. მდგრადი განვითარების მიზნების საკითხზე პასუხისმგებელი პარლამენტის წევრის და აპარატის თანამშრომლის განსაზღვრა თითოეულ კომიტეტში	განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები ყველა კომიტეტში; პასუხისმგებელი თანამშრომლების სამუშაო აღწერილობაში ასახულია მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული საქმიანობა	კომიტეტები		III კვარტალი, 2019 წ.			თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები; კომიტეტის სხდომის ოქმი, სადაც განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები	შესრულდა
1.3. ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან მდგრადი განვითარების მიზნებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შექმნა, რომელშიც მონაწილეობენ მდგრადი განვითარების მიზნებზე პასუხისმგებელი პარლამენტის წევრები და აპარატის შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლები; ასევე სხვა პარლამენტის წევრები და/ან თანამშრომლები საჭიროებისამებრ	სამუშაო ჯგუფი შექმნილია (განსაზღვრულია მისი მანდატი და სამუშაო აღწერილობა) და იკრიბება სულ მცირე სამჯერ წელიწადში; ჯგუფი რეკომენდაციებს/მოსაზრებებს/ანგარიშებს წარუდგენს საბჭოს და კომიტეტებს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო		III კვარტალი, 2019 წ (სამუშაო ჯგუფის შექმნა) IV კვარტალი, 2020 წ (სრულად)			სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება; სამუშაო ჯგუფის მანდატის განმსაზღვრელი დოკუმენტი; სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები; სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციები/მოსაზრებები/ანგარიშები	ნაწილობრივ შესრულდა
1.4. პარლამენტის მიერ იმ პირების (პარლამენტარები და პარლამენტის აპარატის წევრები) განსაზღვრა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საჯარო	განსაზღვრულია პირები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საჯარო მმართველობის რეფორმისა და	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების	III კვარტალი, 2019 წ.			ამ პირების მიერ მომზადებული ანგარიშები; ღია მმართველობის მუდმივმოქმედი	არ შესრულდა

მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სხდომებში	მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სხდომებში		საბჭოს სამდივნო				საბჭოს სხდომების ოქმები	
1.5. საქართველოს პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციის გაცემა, რათა სამინისტროების, ასევე სექტორული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები ასახავდეს მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტით გათვალისწინებული ინდიკატორების მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს	რეკომენდაცია დამტკიცებულია	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო; პარლამენტი	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება	IV კვარტალი, 2019 წ.			პარლამენტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები	არ შესრულდა
1.6. საქართველოს პარლამენტის (ან სამუშაო ჯგუფის) მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციების საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტების მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის მიზნით პოლიტიკის დოკუმენტების გადახედვის აუცილებლობის და ვადის შესახებ რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება	რეკომენდაციები მომზადებულია და ხელმისაწვდომია პარლამენტის ვებგვერდზე; საბჭომ მოიწონა რეკომენდაციები		საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება	IV კვარტალი, 2019 წ.			დამტკიცებული რეკომენდაციები	არ შესრულდა
1.7. 1.6 პუნქტით განსაზღვრული იმ პოლიტიკის დოკუმენტებში ცვლილებების პროექტების შემუშავება და დამტკიცება შესაბამისი კომიტეტების მიერ სამუშაო ჯგუფის	ცვლილებები მომზადებულია და დამტკიცებულია პოლიტიკის დოკუმენტებში, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი	კომიტეტები	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება	IV კვარტალი, 2020 წ.			შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და/ან ცვლილებები პოლიტიკის დოკუმენტებში	ნაწილობრივ შესრულდა

მხარდაჭერით და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი	განვითარების მიზნების განხორციელებას საქართველოში						არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის, საერთაშორისო ორგანიზაციების და/ან დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასება პოლიტიკის დოკუმენტების მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის თაობაზე	
1.8. მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის განსახორციელებლად აუცილებელი საკანონმდებლო საქმიანობის (ცვლილებების და/ან ახალი საკანონმდებლო აქტები) და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა საქართველოს პარლამენტის მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით	მომზადებულია დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების ჩამონათვალი	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, სამუშაო ჯგუფი	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება; საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სამდივნო	IV კვარტალი, 2019 წ.			გრძელვადიანი საკანონმდებლო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით	არ შესრულდა
1.9. 1.8 პუნქტით განსაზღვრული საკანონმდებლო აქტების ასახვა ასევე შესაბამისი კომიტეტების სამოქმედო გეგმებში	კომიტეტების სამოქმედო გეგმები ასახავენ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა მიღება აუცილებელია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, კომიტეტები	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება; საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სამდივნო	I კვარტალი, 2020 წ.			კომიტეტების წლიური სამოქმედო გეგმები	შესრულდა
1.10. კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა და	კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა	კომიტეტები (კომიტეტის მიერ	სამოქალაქო საზოგადოება;	მუდმივად			კომიტეტის სამოქმედო გეგმები	ნაწილობრივ შესრულდა

წლიურ ანგარიშებში მოცემულია იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას	და წლიურ ანგარიშებში ასახულია კომიტეტის საქმიანობის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან	დანიშნული თემატური მომხსენებელი და აპარატის თანამშრომელი)	აკადემიური წრეები	01.01.2020 წ-დან				
1.11.საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტის მომზადებისას/განხილვისას მისი მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის შეფასების პილოტირება ყველა კომიტეტის მიერ	სულ მცირე 6 კანონპროექტის (აქედან 2019 წლის განმავლობაში 2 მაინც) შესახებ მომზადებულ კომიტეტის დასკვნებში ასახულია კანონპროექტის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან	თემატური მომხსენებლები, კომიტეტები, პარლამენტი	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება; საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სამდივნო	IV კვარტალი, 2020 წ.			პარლამენტის კომიტეტების სხდომის ოქმები კანონპროექტებზე; კომიტეტის დასკვნები; კანონპროექტის განმარტებითი ბარათები	ნაწილობრივ შესრულდა
1.12.საქართველოს პარლამენტის წევრებისა და თანამშრომელთა საორიენტაციო ტრენინგის პროგრამაში მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ მოდულის დამატება	მოდული მომზადებულია და ხელმისაწვდომია	პარლამენტის სასწავლო ცენტრი; ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	აკადემიური წრეები	III კვარტალი, 2019			ვებგვერდზე გამოქვეყნებული ტრენინგ მოდულები	შესრულდა
1.13. სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ტრენინგების ჩატარება	ჩატარდა 3 ტრენინგი, რომელიც მორგებულია სამუშაო ჯგუფის წევრების საჭიროებებზე	პარლამენტის სასწავლო ცენტრი; ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	აკადემიური წრეები	IV კვარტალი, 2019			ტრენინგში მონაწილე პირთა დასწრების ფურცლები; მონაწილეთა უკუკავშირის ფურცლები; ტრენინგის დღის წესრიგი	ნაწილობრივ შესრულდა

ამოცანა 2: საბიუჯეტო პროცესი ასახავს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საჭიროებებს

ამოცანის ინდიკატორი								
1) 2030 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დანართი სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან *2020 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დანართი ნაწილობრივად (წინასწარ იდენტიფიცირებული მაქსიმუმ სამი მიმართულების მატერიალური საბიუჯეტო პროგრამებისათვის) შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან* *2) 2030 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში იძლევა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის სრულყოფილი მონიტორინგის შესაძლებლობას* *2021 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში იძლევა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ნაწილობრივი მონიტორინგის შესაძლებლობას*								
ქმედება	**ქმედების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**სხვა მონაწილე მხარეები/პარტნიორები**	**დასრულების საბოლოო ვადა**	**ბიუჯეტი**		**მონაცემთა წყარო**	**სტატუსი**
					საჭირო დამატებითი ბიუჯეტი	**დამატებითი დაფინანსების წყაროები**		
2.1. ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე პროგრამული ბიუჯეტის დანართში საბიუჯეტო პროგრამებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციისათვის პირველადი პრიორიტეტული პროგრამების იდენტიფიცირება	პირველადი პრიორიტეტული პროგრამები იდენტიფიცირებულია	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა	ივლისი, 2019				შესრულდა
2.2. პარლამენტის მიერ რეკომენდაციის მიღება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში საპილოტე საბიუჯეტო პროგრამებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციისათვის	პარლამენტის რეკომენდაცია მიღებულია	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა	ივნისი, 2019				შესრულდა
2.3.პარლამენტის მიერ რეკომენდაციის მიღება პროგრამული ბიუჯეტის დანართში საპილოტე საბიუჯეტო პროგრამებისა და მდგრადი განვითარების მიზნების (ინდიკატორებისა და მიზნობრივი	პარლამენტის რეკომენდაცია მიღებულია	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა	2020 წელი (ნაწილობრივ)				შესრულდა

მაჩვენებლების) ინტეგრაციისათვის								
2.4. ბიუჯეტის პროექტისა და წლიური შესრულების შესახებ მოხსენების განხილვისას პროგრამული ბიუჯეტის დანართის ფარგლებში საპილოტე პროგრამების და მდგრადი განვითარების მიზნების ურთიერთშესაბამისობის განხილვა	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნაში ასახულია აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები	პროექტის განხილვა ოქტომბერი, 2019. ანგარიშის განხილვა ივნისი, 2021				ნაწილობრივ შესრულდა
2.5. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და დარგობრივი კომიტეტების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული საქართველოს მთავრობის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისათვის მზადყოფნის აუდიტის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზებზე რეკომენდაციის გაცემა და მისი შესრულების მონიტორინგი	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაცია გაცემულია და შესრულებულია	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, დარგობრივი კომიტეტები	სახელმწიფო აუდიტის სამსახური; ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა	2020 წელი (ნაწილობრივ)				არ შესრულდა

ამოცანა 3: საქართველოს პარლამენტი ეფექტიან ზედამხედველობას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საქართველოს მთავრობის მიერ

ამოცანის ინდიკატორი								
1) 2020/2030 წლისთვის: პარლამენტი ეფექტიანად ზედამხედველობს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მიმართულებით *2) 2020/2030 წლისთვის, საქართველოს პარლამენტი თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად*								
ქმედება	**ქმედების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**სხვა მონაწილე მხარეები/პარტ-ნიორები**	**დასრულების საბოლოო ვადა**	**ბიუჯეტი**		**მონაცემთა წყარო**	**სტატუსი**
					საჭირო დამატებითი ბიუჯეტი	**დამატებითი დაფინანსების წყაროები**		
3.1. პარლამენტის კომიტეტების მიერ მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების განხილვა მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის ჭრილში	კომიტეტების დასკვნები ასახავს და რეკომენდაციებს წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით	კომიტეტები	სამინისტროები; სამოქალაქო საზოგადოება	მუდმივად რეგლამენტით განსაზღვრუ-ლი ვადების შესაბამისად	არა	არა	ანგარიშვალდებული ორგანოს ანგარიში; კომიტეტის სხდომის ოქმი; არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები	ნაწილობრივ შესრულდა
3.2. კომიტეტების მიერ თემატური მოკვლევისას მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინება მოკვლევის ამოცანების განსაზღვრისას და შეფასებისას	თემატური მოკვლევის ანგარიშებში ასახულია საკითხის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან	კომიტეტები	სამოქალაქო საზოგადოება აკადემიური წრეები	მუდმივად 01.01.2020 წ-დან				ნაწილობრივ შესრულდა
3.3. საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს/სამდივნოს ყოველწლიური ანგარიშის განხილვა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ და შემდგომში პლენარულ სხდომაზე	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შემუშავებული აქვს რეკომენდაციები საქართევლოს პარლამენტისთვის და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის მდგრადი	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	სამოქალაქო საზოგადოება	ყოველწლიურად 01.01.2020 წ-დან			საბჭოს სხდომის ოქმები	არ შესრულდა

	განვითარების დღის წესრიგის განხორციელების გაუმჯობესების ხელშესაწყობად; საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დამტკიცებულია პლენარულ სხდომაზე საბჭომ მოისმინა რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა							
3.4. კომიტეტების მიერ ნორმატიულ აქტების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელებისას შემუშავებულ საბოლოო ანგარიშში ნორმატიული აქტის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობის დადგენა	ნორმატიული აქტების აღსრულებაზე მომზადებულ დოკუმენტში ასახულია მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობა	კომიტეტები	სამოქალაქო საზოგადოება; აკადემიური წრეები	მუდმივად 01.01.2020 წ-დან			კომიტეტების მიერ ნორმატიულ აქტების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელებისას შემუშავებული საბოლოო ანგარიშები	ნაწილობრივ შესრულდა
3.5. კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებში იმ ღონისძიებათა გაწერა, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას	კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებში ასახულია კომიტეტის საქმიანობის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან	კომიტეტები (კომიტეტის მიერ დანიშნული თემატური მომხსენებელი და აპარატის თანამშრომელი)	სამოქალაქო საზოგადოება აკადემიური წრეები	ყოველწლიურად 01.01.2020 წ-დან			კომიტეტების სამოქმედო გეგმები	შესრულდა
3.6. მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის შესრულების	პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყებებიდან, სხვა	კომიტეტები	სახალხო დამცველი, სამოქალაქო საზოგადოება	IX კვარტალი, 2020 წ.				არ შესრულდა

მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენამდე, კომიტეტების მიერ სახალხო დამცველისგან, საქართველოს სტატისტიკის სამსახურიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან და სხვა სახელმწიფო და/ან კერძო ორგანიზაციებისგან ინფორმაციის გამოთხოვა მდგრადი განვითარების შესრულების მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში საჯარო მოსმენების გამართვა	მხარეებისგან პერიოდული ანგარიშების მოსმენა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესახებ 2020-ში 1 მოსმენა მაინც		აკადემიური წრეები					

ამოცანა 4: მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების პროცესში საპარლამენტო საქმიანობა ღია და ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისათვის

ამოცანის ინდიკატორი								
1) 2030 წლისთვის დაინტერესებულ მხარეები და მოქალაქეები ინფორმირებული არიან და მონაწილეობენ პარლამენტის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში *2020 წლისთვის შექმნილია შესაბამისი მექანიზმები მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად*								
ქმედება	**ქმედების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**სხვა მონაწილე მხარეები/პარტნიორები**	**დასრულების საბოლოო ვადა**	**ბიუჯეტი**		**მონაცემთა წყარო**	**სტატუსი**
					საჭირო დამატებითი ბიუჯეტი	**დამატებითი დაფინანსების წყაროები**		
4.1. მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ სტენდები/ფლაიერების განთავსება პარლამენტის მოქალაქეთა მისაღებში და მაჟორიტარების ბიუროებში	სტენდები და ფლაიერები განთავსებულია მოქალაქეთა მისაღებში და მაჟორიტარების ბიუროებში	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი	აკადემიური წრეები	III კვარტალი, 2019				არ შესრულდა
4.2. 17-დღიანი კამპანიის ჩატარება პარლამენტის ვებ-გვერდზე/სოციალურ მედიაში: თითო დღე თითო მიზნის შესახებ	კამპანია ჩატარებულია (წელიწადში ერთხელ)	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	სამოქალაქო საზოგადოება; აკადემიური წრეები	IV კვარტალი, 2020				არ შესრულდა
4.3. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საჯარო შეხვედრების ფარგლებში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში პარლამენტის როლის შესახებ ინფორმაციის გაზიარება	ღია მმართველობის საბჭოს შეხვედრებზე დრო ეთმობა მდგრადი განვითარების მიზნებზე და მათი განხორციელების პროგრესზე საუბარს, ასევე პარლამენტის როლს პროცესში	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	სამოქალაქო საზოგადოება	მუდმივად			საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშები საბჭოს სხდომის ოქმები	შესრულდა
4.4. საქართველოს პარლამენტის მიერ საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციის ჩატარება მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისას	კონფერენცია ჩატარებულია; კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სულ ცოტა 5 ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციამ	პარლამენტის თავმჯდომარე; ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	აკადემიური წრეები; სამოქალაქო საზოგადოება; საქართველოს მთავრობა	IV კვარტალი, 2020 წ.				არ შესრულდა

მიღებული გამოცდილების გასაზიარებლად								
4.5. მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ საქართველოს პარლამენტის როლისა და მიღწევების შესახებ ინგლისურენოვანი მასალების/პრეზენტაციის მომზადება და მიწოდება პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფებისთვის	მასალები/პრეზენტაცია მომზადებულია; ისინი გამოიყენება მუდმივმოქმედი დელეგაციების/მეგობრობის ჯგუფების მიერ მათ საქმიანობაში	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი	აკადემიური წრეები	I კვარტალი, 2020 წ.				არ შესრულდა

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

ქმედება	ქმედების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა	სხვა მონაწილე მხარეები/პარტნიორები	დასრულების საბოლოო ვადა	ბიუჯეტი	მონაცემთა წყარო	სტატუსი
5.1. ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა ანგარიშის მომზადება წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულებაზე	ანგარიში მომზადებულია და ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო; საპარლამენტო კომიტეტები		1 მარტი ყოველწლიურად			შესრულდა
5.2. ანგარიშის განხილვა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ღია სხდომაზე	ღია სხდომა ჩატარებულია; სხდომის ოქმი ხელმისაწვდომია პარლამენტის ვებგვერდზე	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო; საპარლამენტო კომიტეტები	სამოქალაქო საზოგადოება	30 ივნისამდე, ყოველწლიურად			შესრულდა

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მდგომარეობა

ამოცანა 1: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

1.1. ქმედების თანახმად პარლამენტის კომიტეტებმა მათ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით განსაზღვრეს და დაამტკიცეს შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზანი/მიზნები, რაც აისახა კომიტეტების 2019 და 2020 წლების სამოქმედო გეგმებში. იგივე ტენდენცია შენარჩუნდა 2021 წლის კომიტეტების გეგმების შედგენისა და დამტკიცების პროცესში.[5]

1.2. ქმედების შესაბამისად პარლამენტის თითოეულ კომიტეტში განისაზღვრა: 1) მდგრადი განვითარების მიზნების საკითხზე პასუხისმგებელი პარლამენტის წევრი, რაც აისახა შესაბამისი კომიტეტის სხდომის ოქმში, 2) აპარატის თანამშრომელი, რომლის სამუშაო აღწერილობაში შეტანილი იქნა ჩანაწერი მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული საქმიანობის თაობაზე.[6]

---

[5] აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020 https://bit.ly/3jLvGI6
აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3aVwwOs
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019 https://bit.ly/3adW4ar
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3pfi7Bu
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2021 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3bwlm31
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3b2YAiZ
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2021 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3blgmxM
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2018-2030 წლების სტრატეგია და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა https://bit.ly/2OAfsWN
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2021 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3u9Znas
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3tTwIWU
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3d736iX
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3auXAVL
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020 https://bit.ly/3dem6fg
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019 https://bit.ly/3jPmkef
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2020 https://bit.ly/3jImfJb
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2021 https://bit.ly/3k1cMgh
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3aYXmFh
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019-2020 https://bit.ly/3rZuwM3
რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/2N2WhUR
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2020 https://bit.ly/3qrJBoU
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019 https://bit.ly/3rLUvGr
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2020 https://bit.ly/3afda7H
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის 2021 წლის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/37o7ciW
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2017-2020 https://bit.ly/3adxx5a
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2019 წლის საქმიანობის სამოქმედო გეგმა https://bit.ly/3pgWtwV

[6] *აგრარულ საკითხთა კომიტეტი:* გელა სამხარაული (კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე), თაია არაბული (კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი);
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი: სოფიო კილაძე (კომიტეტის თავმჯდომარე), მირანდა ცხადაძე (კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი);
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი: გუგული მაღრაძე (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), რატი ფრუიძე (კომიტეტის აპარატის უფროსი სპეციალისტი), გიორგი არზიანი (კომიტეტის აპარატის მოწვეული სპეციალისტი);

1.3. ქმედების შესაბამისად ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან 1.2. პუნქტით განსაზღვრულ პირთა შემადგენლობით შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, თუმცა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები არ გამართულა.

1.7. ქმედება, რომელიც გულისხმობს შესაბამისი კომიტეტების მიერ 1.6 ქმედებით[7] განსაზღვრულ იმ პოლიტიკის დოკუმენტებში ცვლილებების პროექტების შემუშავებას და დამტკიცებას, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, განახორციელა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა. კერძოდ:

1) კომიტეტის ინიციატივით მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტი. ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელსაც ეფუძნება კონცეფცია, არის საქართველოს პარლამენტის 2019-2030 წლების სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის. კონცეფციაში მკაფიოდ არის ასახული მისი თითოეული ამოცანის შესაბამისობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. კონცეფციის საფუძველზე პარლამენტის დადგენილებით საქართველოს მთავრობას დაევალა, შეიმუშაოს „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი ღონისძიებები და მათი განხორციელებისთვის პასუხისმგებელი დაწესებულებები და საერთო კოორდინაცია გაუწიოს კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და მონიტორინგს; ასევე ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს, მათი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყონ კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას.[8]
2) კომიტეტის ინიციატივით გენდერული ზეგავლენის ნაწილში შეფასდა „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ კანონის“ პროექტი (პროექტის ავტორია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო). შეფასების ანგარიშში ასახულია კანონპროექტის სხვადასხვა ასპექტის შესაბამისობა მდგრადი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი: ნინო წილოსანი (კომიტეტის თავმჯდომარე), თინათინ ოდილავაძე (კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე);
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი: ნინო წილოსანი (კომიტეტის წევრი), ელენე ცხომელიძე (კომიტეტის აპარატის უფროსი სპეციალისტი);
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი: ირაკლი მეზურნიშვილი (კომიტეტის წევრი), ნათია გოგუა (კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი);
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი: გუგული მაღრაძე (კომიტეტის წევრი), ნატო ნატროშვილი (კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი);
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი: კობა კობალაძე (კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე), ბაკურ უტარაშვილი (კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი);
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი: დავით მათიკაშვილი (კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე), გიორგი გიგუაშვილი (კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი);
რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი: მერაბ ქვარაია (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), მერი გოგებაშვილი (კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი);
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი: ირაკლი კოვზანაძე (კომიტეტის თავმჯდომარე), ნაირა ყირიმლიშვილი (კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი);
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი: მურმან ვახტანგაძე (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), ანნა მაისურაძე (კომიტეტის აპარატის უფროსი სპეციალისტი);
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი: დიმიტრი ხუნდაძე (კომიტეტის თავმჯდომარე), ირინა ხასაია (კომიტეტის აპარატის უფროსი).

[7] 1.6. ქმედებით გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის (ან სამუშაო ჯგუფის) მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციების საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტების მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის მიზნით პოლიტიკის დოკუმენტების გადახედვის აუცილებლობის და ვადის შესახებ რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება.

[8] იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0

განვითარების მიზნებთან. კანონპროექტი პარლამენტში ჯერ არ არის დარეგისტრირებული. ანგარიში პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2020 წელს.[9]

1.9. მიუხედად იმისა, რომ სამოქმედო გეგმის 1.8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი არ მომზადებულა, პარლამენტის კომიტეტებმა განსაზღვრეს და 2019 და 2020 წლების სამოქმედო გეგმებში ასახეს ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიზანი არის მდგრადი განვითარების კონკრეტული მიზნების მიღწევა[10].

1.10. პარლამენტის კომიტეტების უმრავლესობამ 2020 წლის სამოქმედო გეგმებით დეტალურად გაწერა ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.[11]

1.11. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტის მომზადებისას/განხილვისას მისი მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის შეფასების პილოტირება განხორციელდა პარლამენტის აგრარულ საკითხთა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტების მიერ.

წინადადებები მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესაბამისობის შესახებ აგრარულ საკითხთა კომიტეტმა ასახა „აგროტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის

---

[9] იხ.: https://bit.ly/3sA00t5

[10] აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 16-21 https://bit.ly/3jLvGI6
აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ.13-23 https://bit.ly/3aVwwOs
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019, გვ. 1-30 https://bit.ly/3adW4ar
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 1-23 https://bit.ly/3pfi7Bu
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 1-19 https://bit.ly/3b2YAiZ
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2018-2030 წლების სამოქმედო გეგმა, გვ. 16-34 https://bit.ly/2OAfsWN
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2019 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 1-6 https://bit.ly/3tTwIWU
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 1-8 https://bit.ly/3d736iX
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 29 https://bit.ly/3auXAVL
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა, გვ. 13-18 2018-2020 https://bit.ly/3dem6fg
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა, გვ. 6-28 2020 https://bit.ly/3jImfJb
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 13-14 https://bit.ly/3aYXmFh
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 5-18 https://bit.ly/3rZuwM3
რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 1-6 https://bit.ly/2N2WhUR
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 39-66 https://bit.ly/3qrJBoU
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019, გვ. 1-5 https://bit.ly/3rLUvGr
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2017-2020, გვ. 9-25 https://bit.ly/3adxx5a
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2019 წლის საქმიანობის სამოქმედო გეგმა, გვ. 1-20 https://bit.ly/3pgWtwV

[11] აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 9-15 https://bit.ly/3jLvGI6
აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 5-9https://bit.ly/3aVwwOs
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 2 https://bit.ly/3b2YAiZ
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2018-2030 წლების სამოქმედო გეგმა, გვ. 62-66 https://bit.ly/2OAfsWN
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 10 https://bit.ly/3d736iX
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 16-18 https://bit.ly/3auXAVL
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 47-62 https://bit.ly/3dem6fg
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა2020, გვ. 47-58 https://bit.ly/3jImfJb
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 13-15 https://bit.ly/3aYXmFh
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 9-13 https://bit.ly/3qrJBoU
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019, გვ. 1-5 https://bit.ly/3rLUvGr
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2017-2020, გვ. 42-55 https://bit.ly/3adxx5a
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2019 წლის საქმიანობის სამოქმედო გეგმა, გვ. 1-20 https://bit.ly/3pgWtwV

პროექტისა[12] და „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისათვის[13] მომზადებულ დასკვნებში.

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა 2019 წელს ჩაატარა „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ კანონის პროექტის“ რეგულირების ზეგავლენის შეფასება. კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.[14] რეგულირების გავლენის შეფასებაში ცალკე თავი ეთმობა კანონპროექტის შესაბამისობის დადგენას და მის შესაძლო გავლენას მდგრადი განვითარების მიზნებზე.[15]

კანონპროექტის მომზადებისას/განხილვისას მისი მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის შეფასების პილოტირების სპორადიული ხასიათი განპირობებული იყო იმით, რომ სამოქმედო გეგმის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის მიერ კომიტეტებისათვის ვერ მომზადდა რეკომენდაციები კანონპროექტის მომზადებისას/განხილვისას მისი მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის კანონპორექტის განმარტებით ბარათში ან/და კომიტეტის დასკვნაში ასახვის თაობაზე. სამომავლოდ სასურველია, შემუშავდეს ერთიანი მიდგომა და ჩამოყალიბდეს სტანდარტი, თუ როგორ უნდა მოხდეს კანონპროექტის მომზადებისას/განხილვისას მისი მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის შეფასება და ასახვა.

1.12. საქართველოს პარლამენტის სასწავლო ცენტრმა საქართველოს პარლამენტის წევრებისა და თანამშრომელთა საორიენტაციო ტრენინგის პროგრამაში დაამატა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ მოდული[16].

1.13. 2019 წლის 13 დეკემბერს პარლამენტის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით პარლამენტის აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: პარლამენტის როლი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობაში[17].

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველი ამოცანის ფარგლებში ვერ შესრულდა 1.4., 1.5., 1.6., 1.8. ქმედებები, ვინაიდან ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ და მასთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით შექმნილი ვითარების გამო ვერ შეძლეს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მიმართულებით აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესის გეგმის მიხედვით წარმართვა.

---

[12] იხ. დასკვნა N 2-10145/20 (გაგზავნილია საქართველოს პარლამენტის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამით).
[13] იხ: https://bit.ly/2ZcQ23e
[14] კანონპროექტი ჯერ არ დარეგისტრირებულად პარლამენტში.
[15] ანგარიში და მასთან დაკავშირებული მასალები იხილეთ: https://bit.ly/3a0cOlh
[16] იხ.: https://bit.ly/2Z9USym
[17] იხ.: https://bit.ly/3aiIsIb ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის; მდგრადი განვითრების მიზნები და ამოცანები; საჯარო, სამოქალაქო და საერთაშორისო სუბიექტების როლი; საქართველოს ნაციონალური მიზნების გეგმა - ინსტიტუციური ჩარჩო და სუბიექტების როლი გეგმის შესრულებაში, პარლამენტის როლი ნაციონალური მიზნების განხორციელების ხელშეწყობასა და მონიტორინგის პროცესში; კომიტეტების საქმიანობა და ღონისძიებები მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობის პროცესში.

ამოცანა 2: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

2.1. ქმედების შესაბამისად, რაც გულისხმობდა, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე პროგრამული ბიუჯეტის დანართში საბიუჯეტო პროგრამებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციისათვის პირველადი პრიორიტეტული პროგრამების იდენტიფიცირებას, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2019 წლის 18 ივნისს განიხილა საანგარიშო წელს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ (№07-2/356; 31.05.2019). კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნაში საქართველოს მთავრობას ეთხოვა, რომ პარლამენტის პროფილურ კომიტეტებთან კონსულტაციით განესაზღვრათ 3 საპილოტე პროგრამა, რომლებზეც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი ინდიკატორები და მიზნობრივი მაჩვენებლები ასახული იქნებოდა საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის პარლამენტისთვის წარდგენისას ბიუჯეტის პროგრამულ დანართში.

2.2. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის“ საქართველოს პარლამენტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, *„2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“* საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის N1600 განკარგულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს დაევალათ 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პროგრამული ბიუჯეტის დანართში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) შემდეგი პროგრამების ურთიერთშესაბამისობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნული სამინისტროების მიერ შერჩეულია შემდეგი პროგრამები: 1) „გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი პროგნოზირება და პრევენცია“; 2) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში „აივ ინფექციის/შიდსის მართვა“; 3) ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“.

2.3. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მუდმივად ახორციელებდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განსაზღვრულ იმ 3 საპილოტე პროგრამის შესრულების მონიტორინგს და ანალიზს, რომლებშიც ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესაბამისი ინდიკატორები და მიზნობრივი მაჩვენებლები. კერძოდ, მიმდინარეობდა მონიტორინგი: 1) სახაზინო სამსახურის მიერ ყოველდღიურად გამოქვეყნებულ ვრცელ ინფორმაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების, მათ შორის, აღნიშნული საპილოტე პროგრამების მიხედვით; 2) სახაზინო სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილ ყოველთვიურ (ნაზარდი ჯამით) სახელმწიფო ბიუჯეტის სრულ ანგარიშში ასახულ ინფორმაციაზე მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების მიხედვით, მათ შორის, საპილოტე პროგრამების მიხედვით; 3) ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში

წარმოდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვაში (ნაზარდი ჯამით), ასახულ ვრცელ ინფორმაციაზე მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების მიხედვით, მათ შორის, საპილოტე პროგრამების მიხედვით; 4) პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2020 წლის ოქტომბერში განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კანონპროექტი ,,საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, რომელსაც თან ახლდა მოხსენება „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“. კომიტეტმა მოისმინა და შეაფასა ინფორმაცია საპილოტე პროგრამების მიმდინარეობის მდგომარეობის შესახებ.

2.4. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2019 წლის წლიური შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენისას განიხილა პროგრამული ბიუჯეტის დანართის ფარგლებში საპილოტე პროგრამების და მდგრადი განვითარების მიზნების ურთიერთშესაბამისობა.

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი იქნება საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა, რომლის შემდეგ მოხდება მისი განხილვა. თუმცა, 2021 წლის იანვარში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში სახელმწიფო ხაზინის მიერ წარმოდგენილი იყო ოპერატიული ინფორმაცია 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას შერჩეული საპილოტე პროგრამების შესრულების მდგომარეობის შესახებ. კომიტეტმა შეისწავლა და შეაფასა საპილოტე პროგრამების შესრულების მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდში მეორე ამოცანის ფარგლებში ვერ შესრულდა 2.5. ქმედება, ვინაიდან 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აღნიშნული მიმართულებით მომზადებული აუდიტის ანგარიში საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ამოცანა 3: საქართველოს პარლამენტი ეფექტიან ზედამხედველობას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საქართველოს მთავრობის მიერ

3.1. პარლამენტის კომიტეტებმა განიხილეს მიერ მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშები მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის ჭრილში, თუმცა კომიტეტის სხდომის ოქმებში კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან მითითებული არ არის. მაგალითისათვის, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში გაიმართა საკომიტეტო მოსმენები, რომელიც ემსახურებოდა ისეთი მიზნების განხორციელებას, როგორიც არის სასურსათო უსაფრთხოება, სიღარიბის დაძლევა, მდგრადი მოხმარება, ინკლუზიური ეკონომიკა. კერძოდ, 2020 წლის 5 ივნისის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სოფლის მეურნეობის 7 მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ[18]; 2020 წლის 15 ივნისის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

[18] იხ.: https://bit.ly/3qCEpiq

შესრულების წლიური ანგარიში“ (07-2/473/9; 25.05.2020)[19]; 2020 წლის 6 ივლისის სხდომაზე: 1) მოსმენილი იქნა ინფორმაცია - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; 2) მოსმენილი იქნა ინფორმაცია (ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ[20]; 2020 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე: 1) მოსმენილი იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში“(1-10762/20; 31.07.2020); 2) მოსმენილი იქნა ინფორმაცია - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ[21].

ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების განხილვისას გაითვალისწინა მათი შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნების განახლებულ ეროვნულ დოკუმენტთან: 1) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში (მდგრადი განვითარების მიზანი 6; ამოცანა 16.6); 2) სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში (მდგრადი განვითარების მიზანი 16, ამოცანა 16.6); 2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (მდგრადი განვითარების მიზანი 16; ამოცანა 16.6).

საანგარიშო პერიოდში საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში დისაპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა მოისმინა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად გატარებული ღონისძიებების შესახებ შემდეგი უწყებების ანგარიშები: 1) 2020 წლის 20 მარტის სხდომაზე მოსმენილ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია მსოფლიოში გამოცხადებული პანდემიის გამო შექმნილი ვითარების და ამ კუთხით საზღვარგარეთ მცხოვრები/მყოფი ჩვენი თანამემამულეების მდგომარეობის შესახებ (მდგრადი განვითარების მიზანი 3, 4, 8);[22] 2) 2020 წლის 25 ივნისისა და 30 სექტემბრის სხდომებზე მოსმენილ იქნა სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის ანგარიშები (მდგრადი განვითარების მიზანი 4);[23] 2) 2020 წლის 14 სექტემბერს კომიტეტის სხდომაზე, მსოფლიოში კორონავირუსის ახალი ტიპის გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საზღვარგარეთ მცხოვრები/მყოფი საქართველოს მოქალაქეებისა და ჩვენი თანამემამულეების - დიასპორელების მდგომარეობის, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული დახმარებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ანგარიში მოისმინეს[24] (მდგრადი განვითარების მიზანი 3, 4, 8).

სამომავლოდ სასურველია, შემუშავდეს ერთიანი მიდგომა და ჩამოყალიბდეს სტანდარტი, თუ როგორ უნდა აისახოს კომიტეტის სხდომის ოქმში კომიტეტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების განხილვის შედეგები მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის ჭრილში.

[19] იხ.: https://bit.ly/2NIF2YT
[20] იხ.: https://bit.ly/3auKxUb
[21] იხ.: https://bit.ly/2ORwb80
[22] იხ.: https://bit.ly/3bpYp1a
[23] იხ.: https://bit.ly/3unJ5uz
[24] იხ.: https://bit.ly/3qNEShS

3.2. პარლამენტის კომიტეტების მიერ თემატური მოკვლევისას მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინება მოკვლევის ამოცანების განსაზღვრისას და შეფასებისას განხორციელდა სამ კომიტეტში. ესენია: 1) ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“[25]; 2) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში „მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ“[26]; 3) განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თემატური მოკვლევა „ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობა“.[27]

3.4 პარლამენტის კომიტეტებს წლიურ სამოქმედო გეგმებში აღნიშნული ჰქონდათ ნორმატიული აქტების აღსრულებაზე კონტროლის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან, მაგალითისათვის: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი თავის გამგებლობას მიკუთვნებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლს ახორციელებდა მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი - მე-4 მიზნის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი - მე-16 მიზნის, აგრარულ საკითხთა კომიტეტი - მე-2 მიზნის შესაბამისად. კომიტეტებმა გეგმების მიხედვით განახორციელეს ნორმატიული აქტების აღსრულებაზე კონტროლი, მაგრამ ნორმატიული აქტების აღსრულებაზე მომზადებულ დოკუმენტში მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის ასახვა არ მომხდარა.

სამომავლოდ სასურველია, შემუშავდეს ერთიანი მიდგომა და ჩამოყალიბდეს სტანდარტი, თუ როგორ უნდა აისახოს ნორმატიული აქტების აღსრულებაზე მომზადებულ დოკუმენტში მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობა.

3.5. პარლამენტის კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებში გაიწერა ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების გზით.[28]

---

[25] იხ.: https://bit.ly/2MZZDIc
[26] იხ.: https://bit.ly/2ZbPr1W
[27] იხ.: https://bit.ly/2LNiSnX
[28] აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 21-31 https://bit.ly/3jLvGI6
აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ.24-27 https://bit.ly/3aVwwOs
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019, გვ. 30-46 https://bit.ly/3adW4ar
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 23-35 https://bit.ly/3pfi7Bu
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 20-28 https://bit.ly/3b2YAiZ
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2018-2030 წლების სამოქმედო გეგმა, გვ. 34-53 https://bit.ly/2OAfsWN
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 31-33 https://bit.ly/3auXAVL
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 19-23 https://bit.ly/3dem6fg
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 14-15 https://bit.ly/3aYXmFh
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019-2020, გვ. 22-23 https://bit.ly/3rZuwM3
რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 6-24 https://bit.ly/2N2WhUR
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2020, გვ. 27-31 https://bit.ly/3qrJBoU
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2019, გვ. 7-17 https://bit.ly/3rLUvGr
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2017-2020, გვ. 25-33 https://bit.ly/3adxx5a
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2019 წლის საქმიანობის სამოქმედო გეგმა, გვ. 21-34 https://bit.ly/3pgWtwV

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მესამე ამოცანის ფარგლებში ვერ შესრულდა 3.3 და 3.6. ქმედებები. ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით შექმნილი ვითარების გამო ვერ შეძლო მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მიმართულებით აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე საზედამხედველო პროცესის გეგმის მიხედვით წარმართვა. ამავე მიზეზით პარლამენტის კომიტეტებმა ვერ შეასრულეს 3.6. ქმედება და მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის შესრულების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენამდე, სახალხო დამცველისგან, საქართველოს სტატისტიკის სამსახურიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან და სხვა სახელმწიფო და/ან კერძო ორგანიზაციებისგან არ გამოუთხოვიათ ინფორმაცია მდგრადი განვითარების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ამოცანა 4: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

4.3. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო მუდმივად ახდენდა საჯარო შეხვედრების ფარგლებში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში პარლამენტის როლის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, რაც აისახა საბჭოს სხდომის ოქმებსა და საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშებში.[29]

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით შექმნილი ვითარების გამო ვერ შესრულდა 4.1., 4.2., 4.4., 4.5. ქმედებები.

[29] ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სხდომის ოქმი №11, 17 ივნისი, 2019 წ. https://bit.ly/2NjXOpo
ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სხდომის ოქმი N12, 25 სექტემბერი 2019 წ. https://bit.ly/373p6HC

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი N14 2020 წლის 29 ივნისი https://bit.ly/377lJiW
საქართველოს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის შუალედური ანგარიში 2019 წ. https://bit.ly/2ZCjqjM
ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2019 წლის საქმიანობისა და ღია პარლამენტის მესამე (2018-2019 წლების) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში https://bit.ly/3dyt27i
მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისათვის საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2020 წ https://bit.ly/3qI8eOy

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება გეგმის მიხედვით წარიმართა.

5.1. 2020 წლის 1 მარტს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისათვის საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში“.[30]

5.2._2020 წლის 29 ივნისს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სხდომაზე „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისათვის საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში“ წარმოადგინა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრმა ნინო წილოსანმა.[31]

[30] იხ.: ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სხდომის ოქმი N13, 2 მარტი 2020 წ https://bit.ly/373TAJp
[31] იხ.: ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი N14 2020 წლის 29 ივნისი https://bit.ly/377lJiW

დაგვიკავშირდით:

რუსთაველის გამზირი 8

0118, თბილისი

☎ (+995 32) 2 28 17 19

openparliament@parliament.ge